შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე“
„Georgian Natural Gas Transmission Network Owner“ LLC
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი № 21; ს/წ: 406329110; ელ-ფოსტა: info@tno.ge
Address: Georgia, Tbilisi, 0190, Kakheti Highway № 21; I/N: 406329110; Email: info@tno.ge

№ 00000321

10/04/2024

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი 02.04.2024წ. No.6/18369 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე საპრივატიზებო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.18.005.103) არსებული შეზღუდვების თაობაზე, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ (შემდგომში - „კომპანია“) კუთვნილი "ვლადიკავკაზ-თბილისის " დ=700მმ მაგისტრალური გაზსადენის მეორე ხაზი (ს.კ 01.00.639). შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება გაზსადენის დაცვის პირველ, მეორე და მესამე ზონაში.

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან ხელისშემშლელი გარემოებები არ არსებობს, თუმცა „კომპანიას“ აუცილებლად მიაჩნია, რომ მიწის ნაკვეთების განკარგვამდე მილსადენის ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად საჭირო მიწის ფართი, კერძოდ, დაცვის I და II ზონა (მილსადენების ღერძიდან თითოეულ მხარეს 25 (ოცდახუთი) მეტრის ჩათვლით) დაიტვირთოს სერვიტუტის უფლებით „კომპანიის“ სასარგებლოდ. ამასთან, მომავალ მოსარგებლეს უნდა ეცნობოს, რომ მიწის ნაკვეთი ხვდება შეზღუდვის სამივე ზონაში, შესაბამისად, იგი ვალდებული იქნება დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით განსაზღვრული შეზღუდვები და პირობები, მაგისტრალური მილსადენების შესაბამის ზონებთან მიმართებაში. გთხოვთ, შესაბამისი საკითხი გაითვალისწინოთ მიწის ნაკვეთის პრივატიზების დოკუმენტში.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების დასადგენად და უშუალოდ გაზსადენის შეზღუდვის ზონებში, მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის და/ან ნარგავების განთავსებასთან დაკავშირებით, განცხადებით უნდა მიემართოს მაგისტრალური გაზსადენების ოპერატორს - **შპს „საქართველო ს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“.**

დანართი: სიტუაციური რუკა (1 ფურცელი) და შეზღუდვის ზონების და სერვიტუტის ელ. ვერსია -
შეიფ (SHP) ფაილის ფორმატში.

პატივისცემით,

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი
ქსელის მესაკუთრე“
გენერალური დირექტორი
კიკვაძე გიორგი